

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**  
**საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი**  
 სამაგისტრო პროგრამა - ბუნების დაცვა და მეტყვეობა

**კურიკულუმი**

<b>ფაკულტეტის დასახელება</b>	საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი
<b>პროგრამის დასახელება</b>	ბუნების დაცვა და მეტყვეობა
<b>მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია</b>	მეცნიერების მაგისტრი ბუნებათსარგებლობაში/ MSc. in Natural Resources
<b>პროგრამის ხანგრძლივობა /მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)</b>	4 სემესტრი/120 ECTS კრედიტი
<b>სწავლების ენა</b>	პროგრამა შემუშავდა 2012 წელს, განახლდა 2019 წელს.
<b>პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი</b>	ქართული
<b>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)</b>	
<p>მაგისტრატურაში მიღება ხდება შესაბამისი ტიპის საერთო სამაგისტრო გამოცდებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის საფუძველზე.</p> <p>სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების მსურველს სასურველია, ჰქონდეს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ბიოლოგიაში და მასთან დაკავშირებულ მეცნიერებებში, მეტყვეობაში, აგრარულ მეცნიერებებში, სოციალურ მეცნიერებებში, ბიზნესი და ადმინისტრირებაში.</p> <p>შიდა საუნივერსიტეტო გამოცდისას მოწმდება სტუდენტის მოტივაცია და ასევე, საბაზისო/ზოგადი ცოდნა შემდეგ სფეროებში: ეკოლოგია, კონსერვაციული ბიოლოგია, სატყეო მეცნიერებები, სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემოსდაცვითი ზოგადი ტენდენციები. ამასთანავე, გამოცდის ფარგლებში შეფასდება ინგლისური ენის ცოდნა (დონე - B1). გამოცდა ტარდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული წესის მიხედვით.</p>	
<b>პროგრამის მიზნები</b>	
<p>პროგრამის მიზანია, მოამზადოს სპეციალისტები, რომლებიც:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. თანამედროვე მეთოდებისა და ანალიტიკური უნარების გამოყენებით შეძლებენ ჩაატარონ დამოუკიდებელი კვლევა ბუნებრივი რესურსების (ტყის, ნიადაგების, ველური ბუნების და დაცული ტერიტორიების) გამოყენების სფეროებში არსებული აქტუალური პრობლემების შესწავლის მიზნით;</li> <li>2. პროფესიულ სექტორში ბუნებრივი რესურსების (ტყის, ნიადაგების, ველური ბუნების და დაცული ტერიტორიების) მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით, შეძლებენ კვლევის შედეგების საფუძველზე ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებას;</li> <li>3. აცნობიერებენ საკუთარი პროფესიული განვითარების მნიშვნელობას და საქმიანობას წარმართავენ პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით.</li> </ol>	
<b>სწავლის შედეგები და კომპეტენციები (ზოგადი და დარგობრივი)</b>	
კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულს:	

1. დაუფლებულია გარემოს დაცვისა და გარემოსდაცვითი მმართველობის, ბუნების კონსერვაციისა და ბუნებრივი რესურსების (ტყის, ნიადაგების, ველური ბუნების და დაცული ტერიტორიების) შესახებ სიღრმისეულ ცოდნას, რომელსაც იყენებს სახეობათა და ბიოლოგიური რესურსების მართვის პროცესში არსებული პრობლემებისა და გამოწვევების კვლევისთვის ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერების თანამედროვე მიდგომების გამოყენებით;
2. კვლევის შედეგების საფუძველზე შეუძლია ეფექტური გადაწყვეტილებების მიღება ბუნებრივი რესურსების (ტყის, ნიადაგების, ველური ბუნების და დაცული ტერიტორიების) გამოყენების მიზნით, მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად;
3. იყენებს მდგრადი მართვის ინსტრუმენტებს ბუნებრივი რესურსების (ტყის, ნიადაგების, ველური ბუნების და დაცული ტერიტორიების) მართვისას; შეუძლია განასხვავოს მათი მართვის სხვადასხვა რეჟიმი და შეაფასოს ამ რეჟიმების ეკოსისტემებზე ზეგავლენა;
4. აანალიზებს ბიომრავალფეროვნების ძირითად საფრთხეებს, აფასებს ადამიანთა საქმიანობით გამოწვეულ ზეგავლენას და განსაზღვრავს მოსალოდნელი ზიანის არიდების, შერბილებისა და კომპენსაციის გზებს;
5. ხსნის ეკოსისტემების ფუნქციონირების კანონზომიერებებს და აანალიზებს მათზე მიწათსარგებლობის სხვადასხვა რეჟიმის ზეგავლენას, როგორც ადგილობრივ, ისე რეგიონულ კონტექსტში;
6. მოქმედებს ეფექტურად, როგორც გუნდის წევრი, იცავს პროფესიული ეთიკის პრინციპებს;
7. აწარმოებს ეფექტურ და პროფესიონალურ კომუნიკაციას კოლეგებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის კერძო სექტორის, სამეცნიერო, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან;
8. შეუძლია განსაზღვროს შემდგომი სწავლის საჭიროებები, რათა მიზანმიმართულად, სტრუქტურირებულად და ეფექტურად დაეუფლოს ახალ ცოდნას.

### პროგრამის სტრუქტურა

სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, რომლის ფარგლებშიც სტუდენტმა უნდა გაიაროს ზოგადი სავალდებულო კურსები, ზოგადი არჩევითი კურსები და სავალდებულო კურსები შემდეგი ერთ-ერთი ბლოკისთვის: 1) ბუნების კონსერვაცია 2) სატყეო მეცნიერება 3) ბუნების დაცვა და მდგრადი განვითარება. სწავლების ბოლო სემესტრში სტუდენტმა უნდა შეასრულოს და დაიცვას სამაგისტრო ნაშრომი.

კრედიტების განაწილება:

**ძირითადი ბლოკი - 90 კრედიტი, აქედან:**

- სავალდებულო კურსები - 36 კრედიტი
- არჩევითი კურსები - 24 კრედიტი (*აქედან 6 კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია აირჩიოს კურსები სხვა სამაგისტრო პროგრამებიდან*)
- სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი

**ერთ-ერთი არჩევითი ბლოკი - 30 კრედიტი**

### სწავლების მეთოდები

ლექცია, სემინარი,  
პრაქტიკული სამუშაო,  
პრობლემებზე დაფუძნებული სწავლება,  
ინდივიდუალური და ჯგუფური პროექტები,  
ანალიზის და სინთეზის მეთოდი,  
სუპერვიზია

*შენიშვნა: პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები დაკონკრეტებულია შესაბამისი კურსების სილაბუსებში.*

### შეფასების წესი

შეფასება 100 ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილდება და ისაზღვრება ამგვარად:

(A) 91 - 100 ფრიადი

(B) 81 – 90 ძალიან კარგი

(C) 71 – 80 კარგი

(D) 61 – 70 დამაკმაყოფილებელი

(E) 51 – 60 საკმარისი

(FX) 41 – 50 ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) 0 – 40 ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების კომპონენტები, კრიტერიუმები და შეფასების მეთოდები მოცემულია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

### დასაქმების სფეროები

პროგრამის კურსდამთავრებული შესაძლოა დასაქმდეს შესაბამისი პროფილის როგორც საჯარო სექტორში (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო, სსიპ ველური ბუნების ეროვნული სააგენტო და სხვ.), ისე უნივერსიტეტებში, კვლევით ინსტიტუტებსა და არასამთავრობო სექტორში შემდეგი მიმართულებებით: კვლევითი პროექტები, მონაცემების ანალიზი და კონსულტირება, პროექტების დაგეგმვა და განხორციელება - გარემოსდაცვითი, ველური ბუნების კონსერვაციისა და ტყის მართვის კუთხით.

რაც შეეხება კერძო სექტორს, ჩვენი პროგრამის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ დასაქმდნენ: საერთაშორისო/ადგილობრივ კომპანიებში, საკონსულტაციო ფირმებში, სამონადირეო მეურნეობებში, საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებში და სხვადასხვა პროგრამებსა თუ პროექტებში. კურსდამთავრებულებს ასევე შეეძლებათ იმუშაონ აგრარული სექტორის ინსტიტუტებში, ლაბორატორიებსა და კომპანიებში.

პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ გააგრძელონ სწავლა შემდგომ საფეხურზე.

### სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, სალექციო ოთახები/დარბაზები, საილუსტრაციო ტექნიკა, კვლევითი ლაბორატორიები და სავლე კვლევითი ბაზები, რომლებიც მდებარეობს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.

პროგრამა ხორციელდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის ინსტიტუტის, ზოოლოგიის ინსტიტუტის, და ბოტანიკის ინსტიტუტის ბაზაზე, ასევე პროგრამის პარტნიორებია გეოსაინფორმაციო სისტემის (GIS) ლაბორატორიები და სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო.

✓ პროგრამას ასევე მხარს უჭერენ სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები (მაგ. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური (DAAD), ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (WWF), სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო). ამასთანავე, სწავლა/სწავლების პროცესში სტუდენტებსა და ლექტორებს შეუძლიათ გამოიყენონ არჩევანის უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა - „არგუსი“, პროგრამა Turnitin, Moodle.